



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

სექტემბერი
(თიშრა)
№8 (504)
(5784)
2023

“מנורה”
עיתון יהודי
בגוריה

გ ი ლ თ ო ო ო ა კ თ !

16-17 სექტემბერი

ებრაული წვლითაღრიცხვით

სამყაროს შექმნიდან 5784-ე წელი



მილოცვა

გილოცავთ!



მაღალ გამოჩენილ, შემოქმედო სამყაროსი - ყოველივე სულიერისა და უსულისი, ყოვლის მცოდნე და მჭვრეტელი წარსულის, ანგყოსი და მომავლისა, ყოვლად-ძლიერო მეფევე ცისა და მიწის, ხილულისა და უხილავის, კაცთა მოდგმის ენით უთქმელად მოსიყვარულე მამავ სამართლიანო და სი-მართლით მოსილო, დაე, იყოს შენი ხელმწიფება

უკუნისამდე. ჩვენ კი, შვილები შენი - შეგვიწყალე და დაგვამკვიდრე შენს წიაღსა შინა, რადგან მხოლოდ შენს უკიდევანო გულმონყალე-ბას ძალუძს ამ ცოდვილი სამყაროს შეწყალება და ბედნიერი მომავლის ბეჭდით დაბეჭდვა ამ ახალ წელსაც და უკუნისამდე, მხოლოდ შენ, მაღალ გამოჩენილ - სხვას არავის!

რომ ჰაშანა დიდი დღესასწაული გახლავთ მთელი ქვეყნიერებისათვის-- მას უდიდესი სულიერი დატვირთვა აქვს, რადგან ამ დღეს დაიწყო გამჩენის და ადამიანის ურთიერთობა - ადამიანისა, რომელსაც ღმერთმა თავისივე ამონაბერით ჩაუდგა სული. მანამდე? მანამდე იყვნენ ანგე-ლოზები, რომელთაც განსხვავებითაც შემოქმედმა ადამი არჩევანის უფლებით დააჯილდოვა და ამდენად, უდიდესი პასუხისმგებლობა დაგ-ვაკისრა კაცობრიობას, რათა ეს არჩევანი ისე გაეკეთათ, რომ სათნო იყოს უფლისათვის. სწორი მიმართულებისთვის კი უამრავი ნიშანი დაგვიტოვა. მთავარი გზამკვლევი თორა გახლავთ - წყარო სინათლისა და სახელმძღვანელო უფლის ჩანაფიქრის განხორციელებისა.

და ჩვენ წლიდან წლამდე ვკითხვობთ თორის საკვირაო თავებს ციკლურად და ყოველი მსოფლიოსთვის რთული და ტყვილიანი გახ-ლდათ 5783 წელი. რომელი ერთი შეგვიძლია გამოვყოთ? - უზარმაზარი მასშტაბის კატასტროფები, დაუსრულებელი ომი, რომელმაც უამრავი სიცოცხლე შეინირა და ჯერ კიდევ არ უჩანს ბოლო, ზესახელმწიფოების ჩამოშლილი ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა, პოსტპანდემიური რე-აბილიტაცია არ დასრულებულა და მსოფლიოს ჯანდაცვის მესვეურებმა ახალი ეპიდემიების მოსალოდნელი საშიშროება დააანონსეს... და უკვე დიდი ხანია, გლობალურ და ლოკალურ საინფორმაციო სივრცეში ცუდი ამბები გაცილებით მეტია, ვიდრე კარგი - გაცილებით მეტი...

ისრაელი ყოველდღიური ომის რეჟიმში ცხოვრობს, რამდენი მსხვერ-პლი შეინირა პირსისხლიანმა ტერორმა უმოწყალოდ? რამდენჯერ დაგ-ვატეხეს თავზე „ბომბების წვიმა“?..

ესეც და სხვა ყოველიც გამჩენისაგანაა, რათა გონს მოვევოთ, რათა არ დაგვაინყდეს ვინაა არსთა გამრიცხვა - მრისხანეცა და გულმონყალეც, როგორც მხოლოდ უკიდევანოდ მოსიყვარულე მამას შეუძლია იყოს, რომელსაც მხოლოდ სიკეთე სურს თავისი შვილებისთვის.

და ყოველივე ამის შემდეგ, ნუთუ კიდევ რჩება კითხვა: რისთვის უნდა ვილოცოთ გამჩენის წინაშე?

ინებოს ღმერთმა და დასრულდეს წელი თავისი წყევლებით - სირთუ-ლებით, ავადმყოფობებით, კატასტროფებით, ტერორით, ომით... ყოვე-ლივე ცუდით და დაიწყოს წელი სიკეთით სავსე კურთხევებით.

სიყვარულით ვულოცავ ყველას ახალი, 5784 წლის დადგომას. გი-სურვებთ მშვიდობას, წარმატებებს, სულიერ და ხორციელ ჯანმრთელო-ბას, სხვადა და ბრაქას. იხარეთ, იდღეგრძელეთ, მომალდით და მომენ-დით, იბედნიერეთ მრავალჯამიერ!

დაე, მაღალმა ღმერთმა ამ წელიწადს მთელი მსოფლიო დაბეჭდოს სიკეთის ბეჭდით! ამენ!

იაკობ ბაგუშაშვილი
მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინი, იერუსალიმისა და აშდოდის მთავარი რელიგიური მოსამართლე



როინე მატრაქვილი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე.

ვერ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის საახალწლო მილოცვა

ებრაული კალენდრის განვლილი წელი ერთობ უსიამოვნო მოვლენებით გახლდათ აღვსილი: პოსტ-საბჭოური და ევრაზიის რეგიონის ებრაული თემების ცხოვრებაში კვლავაც ძირითადი ფაქტორია ევროპის გულში თავჩენილი და დაუმთავრებელი გეოპოლიტი-კური დაძაბულობა. გვაღელვებს უკრაინის ებრაელო-ბის კეთილდღეობის საკითხი, გვანუხებს ის, რომ მოცე-მულ პირობებში არ შეგვიძლია უზრუნველყოთ მათი უსაფრთხოება. ამიტომ განვავრცობთ ჰუმანიტარულ ინიციატივას, რომელიც მიმართულია დევნილთა პრიორ-იტეტული პრობლემების გადაწყვეტისა და ცხოვრების ებრაული წესის მხარდაჭერისაკენ.



განვლილი წელი იმითაც გახლდათ ღირსშესანიშნა-ვი, რომ შესრულდა 75 წელი ისრაელის სახელმწიფოე-ბრიობის აღდგენიდან. სამწუხაროდ, ისრაელის მოქა-ლაქებისა და მთელი მსოფლიოს ებრაელობისათვის, ეს დიდებული თარიღი სახელმწიფოში თავჩენილმა საზოგადოებრივ -პოლიტიკურმა კრიზისმა გაა-ფერმკრთალა. განსაცდელის ამ მიმე უამს, ჩვენ განსაკუთრებით ვგრძნობთ, თუ რაოდენ მნიშ-ვნელოვანია ებრაელი ხალხის ერთიანობა. ეს აუცილებლობაა!

ამ პროცესში უკეთ ვაცნობიერებ ჩვენს წმინდა წიგნებში მოქცეულ მოთხოვნილებას ბრძენ ლიდერებსა და სამართლიან სასამართლოზე, ურთიერთობის ეთიკასა და იმაზე, თუ რას ვამბობთ და როგორ ვიქცევით. ამ ხანაში ჩვენი, როგორც წამყვანი ებრაული საზოგადოებრივი ორგა-ნიზაციების ლიდერებისა, ამოცანა გახლავთ ის, რომ ვეძებთ კომპრომისის გზები.

რომ ჰა შანასა და იომ ქიფურში ყველანი არჩევანის წინაშე ვდგავართ. ჩვენ უნდა ვირჩიოთ სიკ-ეთის გზა. ამიტომ ამ ერთობ საპასუხისმგებლო დღეებში ვესწრაფვით მშვიდობასა და სიკეთის ქმნას და არა ნგრევას.

იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალი წელი იქნება შვების, სასიამოვნო ახალი ამბების, მშვიდობისა და დოვლათიანობის! შანა ტოვა!

როშ-ჰაშანა — ებრაული ახალი წელი



თან დაკავშირებით, დადოს პირობა რომ აღარ გაიმეორებს და ითხოვოს პატიება. ვიდრე - მონანიება - ეს არის პირადი საუბარი ჰაშემთან და არ არის აუცილე-ბელი, ეს იცოდეს სხვა პიროვნებამ, განსაკუთრებით ადვილია თეშუბის გა-კეთება ელულის თვეში, მაგრამ შესაძლე-ბელია მთელი ცხოვრების განმავლობაში.

არის სხვადასხვა სახის ცოდვა და შე-საბამისი სასჯელი მათ გამოსასყიდად, ზოგიერთისთვის საკმარისია მხოლოდ თეშუბა, უფრო მძიმეებისთვის — საჭიროა ქიფურის დაცვა, კიდევ უფრო მძიმესთ-ვის-სხვადასხვა ისურიმები-წვალევა, ავადმყოფობა, უფულობა, უშვილობა, ყველაზე მძიმე დანაშაულებს გამოისყ-იდის მხოლოდ გარდაცვალება, მაგრამ ყველაფერი ამის შემდეგ რომ დაამალი-ანდეს ადამიანი გან ყედენზე - აუცილე-ბელია თეშუბის გაკეთება ამ სამყაროში-მანამ სანამ ცოცხალია.

რაბეინუ იონა თვლის, რომ თეშუბის გაკეთება უფრო რთული და ვრცელი პროცესია. მას წიგნში „თეშუბის კარე-ბი“ ჩამოყალიბებული აქვს—თეშუბის 20 პრინციპი

1. სინანული ჩადენილის გამო, 2. და-ნაშაულის მოცილებას. 3. დარდიანობა, 4. მწუხარება, 5. მოუსვენრობა, 6. სირცხ-ვილი, 7. თავმდაბლობა 8. შეგუება, რო-მელიც გამოიხატება ქცევაში, 9. თავის თავში განადგურის მატერიალურობის ვნება, 10. შეცვალოს თავის საქციელი იმ

საკითხში, რომელიც დაარღვია, 11. თავი-სი ქცევების შესწავლა, 12. გამოკვლევის, გაიგოს და შეისწავლოს, რა სასჯელია ყოველ დანაშაულზე, 13. ყველა დანა-შაული მიიჩნიოს მძიმე დანაშაულად, 14. მონანიება, 15. ლოცვა, 16. გაფუჭებულის გამოსწორება, 17. მისდიოს ქველმოქ-მედებას და სიმართლეს, 18. მისი და-ნაშაული ყოველთვის იყოს მისი მზერის არეში, 19. შეაჩეროს დანაშაული, რო-გორც კი შესაძლებელია, 20. რამდენადაც შესაძლებელია, მოახდინო ზეგავლენა სხვებზე, რომ გააკეთონ თეშუბა

თეშუბას ხელს უშლის: 24 რამ: ჭორი, გაბრაზება, ცუდი აზრობა, ვინც უერთდე-ბა ბოროტებს, ვინც მიერთმებს საკვებს, რომელიც არ ჰყოფის მასპინძელს, ვინც უყურებს და აკვირდება მისთვის აკრძა-ლულ ქალს, ყიდულობს მოპარულს, ვინც ფიქრობს ეხლა შევცოდავ და მერე მოვი-ნანიებ და მეპატიებო, ვინც იღებს პა-ტივისცემას ახლობლების ხარჯზე, ვინც მოსცილდება ჯამაათს, არცხვენს წინა-პრებს, არცხვენს მასწავლებლებს, წყევ-ლის თავის ერს, ხელს უშლის ხალხს რომ შესასრულონ მიცვები, აცდენს ახლობ-ლებს, სარგებლობს ღარიბის გირაოთი, იღებს ქრთამს, რომ გამოიტანოს არას-წორი განაჩენი, ნაპოვნს პატრონს არ უბრუნებს, თუ შევიდა გზიდან გადაუხ-ვია, არ აჩერებს მას, მიერთმებს ღარი-ბების, ქვრივების და ობლებისგან მოპა-

რულს, უარყოფს ხახმების სიტყვეს, ეჭვინობს უდანაშაულოებზე, დასცინის მიცვებს.

ასევე მიიჩნევენ: გახსოვდეს, თუ შენ დაინახე, რომ ვინმემ შესცოდა, მეორე დღით არ უნდა იფიქრო მასზე ცუდი. უნდა იყო დარწმუნებული, რომ მან უკვე გააკეთა თეშუბა

შლომო მელეხი: არ არის დედამიწაზე ცადიკი, რომელიც აკეთებს სიკეთეს და არ შეეცოდოს („კოელეთ“ 7:20)

მთავარია ადამიანი სვედებოდეს, რომ სცოდავს, ეწადოს მონანიება და ჰაშემის გზებზე დაბრუნება, მაგრამ თუ მონა თავის ბატონს ეუბნება ყველაფერს შევას-რულე, რასც მიბრძანებ—ერთი რალა-ცის გარდა, ეს ნიშნავს, რომ მან მოიცოდა მორჩილების უღელი, აკეთებს თავის სანადელს, ის არასდროს არ გააკეთებს ნამდვილ თეშუბას, იმიტომ რომ ირჩევს და აკეთებს იმას, რაც მოსწონს ან ესმის და არ აკეთებს იმას, რასაც ვერ ეგუება, ნამდვილი თეშუბა კი არის უპირობოდ იმის შესრულება რასაც გვეუბნება ჰაშე-მი — გვესმის თუ არ გვესმის, ვიგებთ თუ ვერ ვიგებთ, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ვეგუებით თუ ვერ ვეგუებით.

დაგავამადლიანოს ჰაშემმა სწავლაზე, შესრულებაზე და ნამდვილ თეშუბაზე! შანა ტოვა უ მეტუკა!

ასპარონ მდინარაქი
სალოცავ „ბეთ რახელის“ რაბინი

რომელია მთავარი მიცვა, რომელიც უნდა შევასრულოთ როშ-ჰა-შანაში — 1 და 2 თიმრეს?

თორა გვაგვალდებულებს როშ-აშანაში შოფარის დაკვრას (ვისაც არ შეუძლია, მოსმენას), ეს მიცვა სრულდება დილის ლოცვის დროს და უნდა მოვისმონოთ შო-ფარის 101 ხმა სეფარადული ტრადიციის მიხედვით, მაგრამ თუ ერთ-ერთი დღე შა-ბათს ემთხვევა (წელს, კი ემთხვევა) მაშინ ამ დღეს შოფარს არ უკრავთ.

და რა არის ამ დროს მთავარი, რაზე უნდა ვიფიქროთ?

თეშუბაზე. და რა არის თეშუბა? მონანიება და დაბრუნება (ჰაშემის გზებზე).

რამბამი: „თეშუბა რომ იყოს მილე-ბული, ადამიანმა უნდა მოინანიოს (ნაიკითხოს სპეციალური მონანიების ლოცვა), სიტყვიერად აღიაროს და მოყვას ჰაშემის წინ, რა ცოდვაც ჩაიდინა, გამოთქვას წუხილი ჩადენილ ცოდვას-

არ დაპიჯება მოყვრისა...

3 სექტემბერს, დავით ბაზოვის სახელობის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმში, ისრაელის ქნესეთის სპიკერმა, ბატონ ამირ ოპანამ, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება, „ქართველი შინდლერის“, „მსოფლიოს ხალხთა მართალი შვილის“ - ბატონი სერგო მეტრეველის ოჯახს საპატიო სიგელი გადასცა.

ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ხელისუფლების სხვა მაღალი რანგის წარმომადგენლები, ასევე სერგო მეტრეველის შთამომავლები და საქართველოში ებრაული თემის წარმომადგენლები.

ქნესეთის სპიკერმა, ამირ ოპანამ, თავის სიტყვაში ისაუბრა მეტრეველის გმირობის მნიშვნელობაზე და გამოხატა ისრაელის სახელმწიფოს მადლიერება მის მიმართ. ამასთან, სპიკერმა ხაზი გაუსვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჰოლოკოსტის შესახებ ცნობიერების ამაღლება ახალ თაობაში.

სერგო მეტრეველი არის ე.წ. „ქართველი შინდლერი“, რომელსაც „მსოფლიოს ხალხთა მართალი შვილები“ წოდება მიენიჭა. აღნიშნულ წოდებას ისრაელის სახელმწიფო, „იად ვაშემის“ მუზეუმის ჩართულობით, ანიჭებს იმ არაებრაელებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდეს ჰოლოკოსტის დროს ებრაელების ნაცისტებისგან გადასარჩენად.

1942 წელს ბატონი მეტრეველი დაეხმარა ორ ებრაელს, ემილ ზიგელსა და არკადი რაბინოვიჩს, რათა ოკუპირებული კისლოვოდსკიდან საქართველოში, მის მშობლიურ სოფელ უწერაში ჩამოსულიყვნენ.

არსებობს ებრაული გამონათქვამი: ვინც ერთი სიცოცხლე გადაარჩინა, მან მთლიანი სამყარო გადაარჩინა.

ჰოლოკოსტს გადარჩენილმა, ელი ვისელმა ერთხელ თქვა: „სიყვარულის საპირისპირო არის არა სიძულვილი - არამედ გულგრილობა“.

სერგო მეტრეველი და დანარჩენი „მსოფლიოს ხალხთა მართალი შვილები“ არიან ისინი, ვინც გულგრილი არ დარჩნენ ნაცისტური რეჟიმის წინაშე და ამისთვის, ისრაელის სახელმწიფო სამუდამოდ იქნება მათი მადლიერი.



ხაიმ ბენ იაკობი: სამყარო ისეთია, როგორაც შენ ხედავ...

გაზეთ „მენორას“ დღევანდელი სტუმარი გახლავთ ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური დირექტორი, დოქტორი **ხაიმ ბენ იაკობი**.

ლ. კ. გთხოვთ, მკითხველს თავად წარმოუდგინოთ თქვენი თავი: ვინ არის ხაიმ ბენ იაკობი, რა ცხოვრებისეული, სამახსურებო რიგი, სამეცნიერო მოღვაწეობის გზა გაიარა, ვიდრე ევე კონგრესის გენდირექტორი გახდებოდა?

ხაიმ ბენ იაკობი: ვიდრე ამ საპასუხისმგებლო თანამდებობას დავიკავებდი, ვხელმძღვანელობდი ებრაულ სააგენტო „სოხნუთის“ წამომადგენლობას მოსკოვსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში. იმავდროულად გახლდით ისრაელის სოხნუთის მრჩეველი განათლების საკითხებში. აგრეთვე ვმუშაობდი თელ-ავივის უნივერსიტეტში. დიდი ძალისხმევა მოვახმარე დამეარსებინა იუდაიზმის შესწავლისა და ებრაული თემების ხელმძღვანელთა მომზადების ინსტიტუტი და წლების განმავლობაში ვიყავი მისი უფროსი. პერიოდული კონფერენციის ჩარჩოებში ვხელმძღვანელობდი ყოფილი სსრკ-დან გამოსული ებრაელთა დიასპორის საკითხებს. ჩემი სამეცნიერო კვლევების სფერო მოიცავს იუდაიზმის ტრადიციული რიტუალების განხილვას სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. ჩემს შრომებში დიდი ყურადღება ეთმობა ნაციონალურ-კულტურული სახელმწიფოს იდენტურობას და ისრაელის ისტორიას, აგრეთვე უნივერსალურ-პარტიკულარული ფასეულობების ურთიერზემოქმედებას. ვარ რამდენიმე წიგნის ავტორი ებრაულ ტრადიციებზე, ისტორიასა და ანტისემიტიზმზე ყოფილ საბჭოთა კავშირში.

ლ. კ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ევე კონგრესი, მისი პრეზიდენტი, მიხეილ მირილაშვილის მეთაურობით, ფართო საქველმოქმედო მოღვაწეობას ეწევა. იქნებ მკითხველს დაწვრილებით გააცნოთ, რა ადგილი უჭირავს საქართველოსა და მის ებრაელობას კონგრესის მოღვაწეობაში.

ბ. ბ. ი. ევე კონგრესი დაარსდა 1991-1993 წლებში, როცა დაშლილი სსრკ ებრაული ორგანიზაციები შედიან მსოფლიო ებრაული კონგრესის შემადგენლობაში და მის ჩარჩოებში აყალიბებენ ევრ-აზიურ სექციას. პოსტსაბჭოური ქვეყნების გარდა, აქ გაერთიანდნენ მცირერიცხოვანი ებრაული თემები ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან. ამიტომაც დაერქვა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი. 2001 წლიდან მისი წევრები დამოუკიდებლად მოქმედებენ ევეკ-ს ეგიდით. პირველი ათი წელი იგი მუშაობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის და ბიზნესმენის — ალექსანდრე მაშკევიჩის და ბატონ მიხეილ ჩლენოვის ხელმძღვანელობით. კონგრესი თანდათან იკრებდა ძალას და გავლენას, ანხორციელებს მეტად მნიშვნელოვან პროექტებს, აერთიანებს და კონსოლიდაციას უწევს რეგიონალურ ებრაულ ცხოვრებას. ამ პერიოდში ებრაული ცხოვრება უფრო ალორძინდა და გაძლიერდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

2017 წელს ევეკ-ს პრეზიდენტად არჩეულ იქნა ბიზნესმენი და ფილანტროპი მიხეილ მირილაშვილი, რომელიც კონგრესის დაარსებისა და ფორმირების სათავეებთან იდგა როგორც ყოველმხრივ მხარდამჭერი და ქმედითი წევრი. სულ მალე კი, იგი პირველი ვიცე-პრეზიდენ-

ტის ფუნქციას ასრულებს. დღეისათვის ევეკ ერთ-ერთი წამყვანი ძალაა, რომელიც იცავს ებრაული თემებისა და ისრაელის ინტერესებს საერთაშორისო არენაზე. პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი უშუალოდ მონაწილეობს ჩვენი ორგანიზაციის ყოველდღიურებაში. ჩვენ ყოველწლიურად ვეხმარებით და თანადგომას ვუწვევთ ებრაულ ორგანიზაციებს რეგიონებში, ვმონაწილეობთ მათს სტრატეგიულ ხარჯებში — ხელს ვუწყობთ წარმატებულ პროექტებს და წახალისებთ არ ვაკლებთ ახალ ინიციატივებს ებრაულ სამყაროში.

მატერიალურად შევინეროებულთა დახმარება წარადგენს ევეკ-ს ერთ-ერთ ძირითად მიზანს. ჩვენ ვაკეთებდით და ვაკეთებთ ყველაფერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და ხელმოკლე ოჯახებისთვის, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას, მიიღონ ყოველმხრივი დახმარება, რათა შესძლონ იცხოვრონ ღირსეულად. მრავლი წელია ევეკ აქტიურად მონაწილეობს საქართველოს ებრაელთა სათემო ცხოვრების განვითარებისა და მისი ისტორიული, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში. კერძოდ კი, ევეკ შემწეობით, საქართველოს ტერიტორიაზე. ჩატარდა მთელი რიგი სინაგოგების რესტავრაცია

ლ. კ. სოციალურ ქსელებში არცთუ იშვიათად ვკითხულობთ თქვენს ანალიტიკური ხასიათის წერილებს ისრაელში მიმდინარე პოლიტიკურ, საზოგადოებრივ პროცესებზე. როგორ ხედავთ ისრაელისა და მისი მეზობელი ქვეყნების ურთიერთობას უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში?

ბ. ბ. ი. ისრაელის სახელმწიფოს დაარსება მიმდინარეობდა უკიდურესად რთულ საშინაო თუ საგარეო პირობებში. არაბულ სამყაროსთან კონფლიქტი და ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობა რეგიონში, იპყრობდა და იპყრობს გარე სამყაროს ყურადღებას. არც თუ ისე იშვიათია ძლიერი და წამყვანი ქვეყნების ზეწოლა. ფაქტია, რომ ქვეყნის დაარსების პირველივე წლებიდან უმაღლეს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უწევდა მანევრირება საკუთარი ინტერესების დასაცავად, მაგრამ მიუხედავად ამისა, შესძლო საერთაშორისო არენაზე საკმაოდ მყარი პოზიციის დაკავება. ისრაელმა შექმნა კარგი ეკონომიური ბაზა ყოველწლიური ზრდით. დაარსდა სამეცნიერო ცენტრები და ათწლეულებია თავისი ტექნოლოგიური მიღწევებით, ერთერთი ძლიერი სახელმწიფოს სახელი დაიმკვიდრა.

ამჟამად, ისრაელმა უნდა გადალახოს შიდა პოლიტიკური კრიზისი. სწორედ შიდა კონსოლიდაციამ და საზოგადოების უმრავლესობის სოლიდარობამ შეუქმნა მყარი საფუძველი გარეპოლიტიკურ მუშაობაში. დღეისათვის მსოფლიოს მზერა მიმართულია ისრაელისკენ, რამეთუ არჩევნების სისშირემ და შიდა განხეთქილებამ, შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ისრაელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიური სტაბილურობა. ამიტომ ამ პრობლემების მოგვარება, რომელიც უკანა პლანზე იყო გადადებული, მიზანმიმართულად უნდა მონერსივდეს. ეს არის ჩემი თვალსაზრისი, რათა ჩვენმა ქვეყანამ ძლიერი სახელმწიფოს სახელი დაიმკვიდროს.

ლ. კ. ირანი არ არის ისრაელის უშუალო მეზობელი, მაგრამ როგორც საბჭოეთში იტყოდნენ,



ირაელს იარაღს უფლარუნებს. ა) რა მიგაჩნიათ ამის მიზეზად?

ბ) სად დევს გასაღები ამ რთული მდგომარეობის განმუხტვისა?

ბ. ბ. ი. ისრაელის დაარსების დღიდან, სულ იყვნენ და არიან მტრულად განწყობილი ძალები, არიან ესენი მეზობელი, თუ შორეული ქვეყნები, რომლებიც ისრაელს სასიკვდილო დარტყმის მიყენებით განადგურებით ემუქრებიან. რადენიმე ომის შემდეგ, ზოგიერთ ქვეყანასთან მივალნივთ სამშვიდობო ხელშეკრულებას და ვისწავლეთ კიდევ თუნდაც „ნელ-თბილ“ თანამშრომლობა. ქვეყანა, საკუთარი გამოცდოლებიდან გამომდინარე, მივიდა იქამდე, რომ გრძელვადიანი ზავი ზოგჯერ ხაფანგია, ზოგიერთისთვის კი, ეს ერთადერთი ლეგიტიმაციაა. ისრაელს ძალუქს წინააღმდეგობის განევა, ეს სულაც არ ნიშნავს მათი ძალებისა და მუქარის უგულვებლყოფას, მითუმეტეს ისეთი ქვეყნისა, რომელიც ძლიერი ბირთვული იარაღის მფლობელის ზღურბლზე დგას. ამ პრობლემის გადაჭრის გასაღები სწორედ იქ არის, რასაც ისრაელი ეწევა თავისი სწორად მიმართული საგარეო პოლიტიკაში, რამეთუ ირანის საკითხი მარტო ისრაელს არ ეხება. იმისათვის, რომ შიდა პოლიტიკურმა უთანხმოებამ ჩვენს უძლიერეს არმიაზე უარყოფითად არ იმოქმედოს, საჭიროა შიდა პოლიტიკური სტაბილიზაცია, რათა მტრულად განწყობილი ქვეყნების ნისქელიზე არ დაესხას წყალი. მწამს და მჯერა, რომ როგორც ყოველთვის, ახლაც შევძლებთ დაპირისპირებული ბლოკების გაერთიანებასა და გამთლიანებას, რაც საკადრისი პასუხი იქნება ჩვენზე ხმაალამართულებისთვის.

ლ. კ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ სამახსურებო რიგი, მეგობრული, სამეცნიერო ურთიერთობა გაქვთ ისრაელის ქართველ ებრაელობასთან. ვინ არიან ისინი და რა მიგაჩნიათ მათ ღირსებად, ნაკლად? უცხო თვლის მიერ შემჩნეული ნაკლიც უნდა ვიცოდეთ, რომ იგი დაიდლოს.

ბ. ბ. ი. საქართველოს ებრაელობა, თავისი უნიკალური ისტორიითა და მდიდარი კულტურით, ძლიან ფაქიზად ავსებს ისრაელის საზოგადოებაში შემავალ მულტიეთნიკურ ნაზავს. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში სწორედ ცნობილი „18 ქართველი ებრაელის ოჯახის წერილი“ გახდა დასაბამი საბჭოური რეჟიმის ფარ-

დის გარღვევისა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ებრაელებისათვის არ იყო იოლი ისრაელის მრავალეთნიკურ საზოგადოებაში შერწყმა. დაწყებული ქვეყნის დამაარსებლებიდან დღემდე, იდეოლოგიით შეპყრობილები ცდილობენ ქვეყნის შენებასთან ერთად „ახალი ადამიანის“ შექმნას, რომელიც უარს იტყვის და დაივიწყებს თავის ისტორიულ-კულტურულ წარსულს. მიმდინარეობდა პროპაგანდა გვარების შეცვლასა და „იქიდან ჩამოტანილი“ წეს-ჩვეულებების დათმობაზე. ზოგიერთმა ამის გამო, გეზი სხვა ქვეყნებისკენ აიღო. გარდა ამისა, ქართველების ინტეგრაციაზე ყოველდღიურებაშიც ვლინდებოდა უნდობლობა და სტერეოტიპული აზროვნება და მტკიცუნულადაც კი. ზოგიერთმა მართლა თქვა უარი საუკუნეებით შესისხლხორცებულ წეს-ჩვეულებებზე და დაივიწყა თავის ფესვები. მე არაფის განსჯას არ ვაპირებ, მხოლოდ ვფიქრობ, რომ უნდა გადავხედოთ ამ, არც თუ ისე იოლ საკითხს რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ისრაელი გაიზარდა და აღარ გვიწევს ზრუნვა თვითგადარჩენაზე და ამიტომ იდეოლოგიური პრინციპები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის ჩამოყალიბების პერიოდში, ნაკლებად აქტუალურია დღეს. მეორეც, ჩვენ ვცხოვრობთ ტოლერანტობის და კულტურათა სხვადასხვაობის ეპოქაში. ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ეს არის ქვეყნის სიძლიერის საწინდარი. ვვარაუდობ, რომ საქართველოს ებრაელობამ უნდა გააძლიეროს თავისი იდენტურობის შენარჩუნებაზე ზრუნვა და მომავალი თობები აღზარდოს თავის კულტურულ ფასეულობებზე და გაამდიდრონ ისრაელის კულტურა თავისი ფესვების დაუკარგავად.

მე ვამაყო ჩემი მეგობრობით საქართველოს ებრაელთა წარმომადგენლებთან, რომლებიც ოქროს ფონდს წარმოადგენენ მსოფლიო კულტურასა და მეცნიერებაში. ესენი არიან: პროფ. დავით ბაზაოვი, თელ-ავივის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფ. დოდო ჩიკვაშვილი და მერაბ სარელი, სამუსიკო აკადემიის პროფ. იოსებ ბარდანაშვილი, ექიმები მარინა და რამაზ ფიჩხაძეები. მწერალი გურამ ბათიაშვილი, რომელთანაც მრავალი წელია ვმუშაობ საერთაშორისო ებრაულ ორგანიზაციებში. მე ვიცი, რომ ყოველთვის შემიძლია მქონდეს იმედი მათი მხადაჭერის, ყურადღების და ერთგულებისა. მე მახარებს მათთან მრავალწლიანი მეგობრობა.

ივრითზე ამღერებული ქართული იავნანა

დღეს რთული მისია ვიკისრე, ვისაუბრო ადამიანზე, რომელსაც მთელი საქართველო იცნობს და იცნობენ მას მის ფარგლებს გარეთაც. ჩვენი ურთიერთობა დიდი ხანია გაცდა ამხანაგობასაც და მეგობრობასაც და სულ სხვა განზომილებაში გადაიზარდა რამდენიმე ათეული წელის განმავლობაში. თავიდან ერთ საქმეს ვემსახურებოდით — ივრითის სწავლება და მასეში გავრცელებას სხვადასხვა უწყებებში: მე „სოხნუთის“ ეგიდით და ზაირადავ არაშვილი კი „ჯოინთისა“.

ყოველგვარი პაექრობისა და კონკურირების გარეშე, საერთო საქმეს ერთგულად ვასრულებდით. მეტსაც გეტყვი, ვიდრე ისრაელში ამოვიდოდი, 90-ანების სუსხიან დღეებში, უშუქობისა და უწყლობის დროს, სიბნელეში ტელეფონით ვუზიარებდით ერთმანეთს რა ვისწავლეთ ახალი და როგორ ვიყენებთ პრაქტიკულად ენის სწავლებისას. ზაირა დავარაშვილი მალე გახდა ცნობადი სახე, მაგრამ მაინც გვინდა გადავავლოთ თვალი მის მიერ განვლილ ცხოვრების.

ლია კრიხი: თაობათა სხვაობა იყო, არის და იქნება. რითი გამოირჩეოდა ჩვენი თაობა?

ზაირა დავარაშვილი: „თაობა მიდის და თაობა მოდის, სამყარო კი მუდმივია“ ვკითხულობთ „კოშკელთში“ (ეკლესიასტე). ყოველი თაობა თავის სიახლეებს გეთავაზობს და ტოვებს მნიშვნელოვან კვალს ცხოვრებაში. ჩვენი თაობა გამოირჩეოდა ნაკითხობითა და ფასეულობების გაფრთხილებით. ყოველ წინა თაობას უჭირს რაიმე უცხო მიღება, მაგრამ სწორედ ამას მიყვარდა პროგრესისკენ. შეიძლება რაიმე არ მოგვწონდეს დღევანდლებს, მაგრამ ნუ დაუფურცავთ იმას, რომ ტექნოლოგიური რევოლუციის ნოვატორები, სწორედ ისინი არიან.

ლ.კ. რას გვეტყვი მშობლებზე. ძია კაკო და დეიდა მარო ხომ ცნობილი იყვნენ, როგორც შესატყვისი იყავით?

ზ. დ. საკმაოდ სოლიდური ასაკის ვარ, თავად შვილთაშვილების პატრონი და დღემდე ველავ ამ შეკითხვის დასმისას. მშობლები ხომ ყველაზე დიდი სიმდიდრეა ადამიანისთვის. დედაჩემი, მირიამ (მარო) პატარავი, ქალაქ გორიდან იყო. ახლა ისე ხშირად აღარ დავდივარ ამ მშვენიერ ქალაქში, რამეთუ იქ ის ნათესავები და ახლობლები აღარ მყავს. ჩემი დედულეთი ისევე იყო მიყვარს, როგორც ბავშვობაში და მივლინების არც ერთი შესაძლებლობა არ გამომიტოვებია, რომ არ ჩავსულიყავი და მოვფერებოდი. დედა წინახევისა დაობლებულა და თავის ძმასთან, აბრამთან (შემდგომში მათემატკიკოს-პროფესორების, ვახტანგ და ლილი პატარავილების მამა) ერთად მამი-დამ, ლუბა წინუაშვილმა გაზარდა. პაპი-და ლუბა ნამდვილად იმსახურებს ჩვენ-გან დიდ მადლიერებას, რაც კი შეიძლება მიიღოს ყველა ბებია „ოლღამ“ მსოფლიოში. იგი 50 წლიდან ნახევრად იწვალადი, ეტალონი იყო ჩვენზე და ჩვენს შვილებზე თავანწირული ზრუნვისა და დაუღალავი გარჯის გამო.

მამა, იაკობ (კაკო) დავარაშვილი მუხრანში, ხელმოკლე ოჯახში დაბადებული გახლდათ. ოთხი კლასის განათლება ჰქონდა (მამა მუხრანის ტყეში ყაჩაღებმა მოუკლეს და 11 წლის ფრიდოსანი კაკო, იძულებული იყო სწავლა მიეტოვებინა) იგი ტყავის წარმოების სპეციალისტი გახლდათ. გამორჩეული, ახოვანი გარეგნობით და საკმაოდ ნაკითხი, საზოგადოებაში მიღებული პიროვნება, თავისი სიტყვაკაზმულობით, საუკეთესო თამადად ითვლებოდა. დედა და მამამ დიდი სიყვარულით შექმნილ ბუდეში ხუთი

შვილი გაგვზერდეს და ხუთივე უმაღლესი განათლებით. სკოლაში წარჩინებით ვსწავლობდით და ჩვენი ქების სიგელები თუ მადლობის წერილები, საპირწონედ ჰქონდათ. მგონი სიტყვა გამიგრძელდა მათზე, მაგრამ მათზე საუბრით არასდროს დავიღვლები.

ლ. კ. ვიცი შენი დამოკიდებულება 67-ე სკოლის მიმართ და გთხოვ გახეიის მკითხველსაც გაუზიარო

ზ. დ. მიყვარდა, მიყვარს ჩემი სკოლა, წინ დიდი ეზოთი, ქუჩიდან პორტალური შესასვლელით და სკოლის დარაჯი, ვასო ძიათი. ნება მიბოძეთ, დღეს ამ სკოლის მთელ კოლექტივს, თითოეულ პედაგოგს, ყოფილსა თუ ახლანდელს, მსოფლიოს ყველა კუთხეში მყოფ კურსდამთავრებულს და მათაც, მომავალში რომ შემოდგამს ფეხს, მივმართო: იცოდეთ, აქ ყველაფერი მზითაა გაცისკროვნებული და გამთბორი, ამ სკოლაზე ნათქვამი სიტყვაც მზისფერია. მე ეს სკოლა 60 წლის წინათ ოქროს მედალზე დავამთავრე და მას შემდეგ, სიამაყით ვატარებ ამ სკოლის კურსდამთავრებულის სახელს. 1998 წლის 10 სექტემბერი გაუხუნარ ფურცლად ჩაინერება 67-ე სკოლის ისტორიაში, რადგანაც იგი მონაწილეობდა ებრაელთა საქართველოში დასახლებისა და 26 საუკუნოვანი თანაცხოვრების ზეიმში, მე ვიტყვოდი, უპირაინიც იყო. ამ სკოლაში ებრაელი ენის სწავლების ინიციატივა, ბატონ კონსტანტინე წერეთელს ეკუთვნის. დღემდე მოგვყვება ის მშობლიური სიტბო და სინაზე, თანაბრად რომ გვინაწილებდნენ პედაგოგები გურგენიძეებს და ხუბუშვილებს, მირიანაშვილებსა და რაბინოვიჩებს, ფალიანებს და ელიაშვილებს, გეგენავებსა და დავარაშვილებს, გეგენავებსა და კოჩანიანებს, ორაგველიძეებსა და ჯანაშვილებს და ა. შ. გაკვეთილები სიკეთისა, კეთილშობილებისა და ერთგულებისა, არასდროს არ გაცვდება. ისლა დამრჩენია, მდაბლად დავხარო თავი და დიდი მადლობა გითხრა, ჩემო მშობლიურ სკოლაზე!

„ვით არ სჯობიხარ სრა-სასახლეს ოქროსას თუნდაც.“ შენს მონატრებას, დამიჯერე, სასრული არ აქვს.

მე შენს კედლებზე სიკვდილამდე ვილოცო მინდა.
მე შენი დიდი სიყვარული განძივით დამაქვს“.

ლ.კ. სადაც ალექო ელიაშვილს ახსენებენ, იქ ზაირა დავარაშვილი ივლისსმება და პირიქით. იმთავითვე მხარი-მხარ, შენფილილად მოდინხართ. როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა და რალა თქმა უნდა, შვილებზეც უნდა გვიამბო.

ზ. დ. მე და ალექო ელიაშვილმა. სწორედ 67-ე სკოლის მესამე კლასში გავიცანით ერთმანეთი, წლების განმავლობაში მან გამოავლინა ბავშვობიდან გამოყოლილი გრძობა ჩემს მიმართ. გადიოდა დრო და ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტები ვიყავით (ალექო მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა და გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭით). როდესაც ჩვენი ურთიერთობა კანონიერად დავაფიქსირეთ. შეიქმნა ებრაული ოჯახი, რომელიც ორმა, მშვენიერმა შვილმა გაგვილამაზა – რუსუდანი და ბესიკი. კარგი, ჭკვიანი, ნიჭიერი, მეცადინი, გაგებული, სკოლაში გამორჩეული აქტიური ბავშვები იყვნენ. რუსიკომ მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და სამედიცინო ინსტიტუტში ჩაირიცხა. შემდგომ მეუღლემ, ფიზიკოს-



მა გია წინუაშვილმა, რომელიც იმ დროს მოსკოვში ასპირანტურაში სწავლობდა, მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში გააგრძელებინა სწავლა. ბესიკმა კი, ეკინომიური ფაკულტეტი აირჩია, თუმცა, შემდეგ ისრაელში, ჯერ თელ-ავივის უნივერსიტეტში ბაკალავრი შეასრულა და მაგისტრატურა კირიათ ონოს უმაღლეს სასწავლებელში დაასრულა. თავისი ცხოვრება ისრაელის პოლიტიკას დაუკავშირა და პარტია „ჰეხაზონ“ შექმნა. ორივეს ოჯახები და ორ-ორი შვილი ჰყავთ. რუსიკო ორი წლის მშვენიერი და ონავარი თამარის ბებიია, თამარისა, რომელიც ძალიან გვახარებს და გვაბედნიერებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ თუკი რაიმეს მივალნიე ცხოვრებაში, ეს ჩემი მეუღლის გვერდში და მხარში დგომის დამსახურებაცაა. განსაკუთრებული მადლობა მას ამისთვის.

ლ. კ. საქართველოს ებრაელებს ნაციონალური თვითგამორკვევა არასდროს აკლდათ, მაგრამ 90-იანი წლები ხას-იათდება ებრაული მოძრაობის აღორძინებით და ზაირა დავარაშვილი ყველაგან პირველ რიგებშია. მოდი, ცოტა ხნით გადავიანცვლოთ მინიმალურ ადამიანურ პირობებს მოკლებულ წლებში.

ზ. დ. მართლაც რთული პერიოდი იყო, მაგრამ თუ ადამიანი საყვარელი საქმით იყო დაკავებული, ეს უადვილებდა ყოფითი პირობებით გამოწვეულ პრობლემებს. ივრითის სწავლა დავინყე ბატონ შალვა წინუაშვილთან, რისვისაც უღრმეს მადლობას ვუხდი. მე ისე დავენაფე ამ ენას, რომ სამომავლო საქმიანობადაც გადა-მექცა. ლია, შენც გეხსომება, როგორ ვმონაწილეობდით დსთ ქვეყნებში, თუ საზღ-ვარგარეთ გამართულ ებრაული ენის მასწავლებლეთა სემინარებსა და კვალიფი-კაციის ასამაღლებელ კურსებზე.

ლ. კ. ანგანსვენებელი რიკა კრუნიკის მიერ დაარსებულ „საკვირაო სკოლაში“ შენ საყრდენ ლერძს წარმოადგენდი. მახსოვს, როგორ გავოცდით, როცა სამედიცინო ჯგუფი ჩამოაყალიბე და ალიისთვის გამზადებული ექიმები იქა-როდნენ შენს გაკვეთილებზე. როდის დაიბადა ეს გაბედული იდეა?

ზ. დ. ამ იდეისთვის დიდი მადლობა ეკუთვნის ქალბატონ რიკა კრუნიკს, პროფნებას, რომელიც დიდი ებრაული სული ბოლოქრობდა. როდესაც მითხრა, სამედიცინო ჯგუფები უნდა ამეცადი-

ნოო, ეს ისეთი შორი იყო ჩემთვის, როგორც სილამაზის მსოფლიო კონკურსში მონაწილეობა (ელიმება). შემდეგ კი, რაც მივიღეთ, თავადაც კარგად იცი. ნამდვილად ღირდა შრომად და გარჯად.

ლ. კ. შენი სადისერტაციო თემაც და ნიგნიც გერცელ ჩაჩაშვილზე იყო და საკამოდ კარგად მოჰფინე შეუი მის პიროვნებას. სად და როგორ მოიპოვე მასზე მასალები?

ზ. დ. ბატონ გერცელ ჩაჩაშვილს არც უნივერსიტეტში ვიცნობდი და არც მის კედლებს გარეთ, ამიტომ მასზე მასალების მოძიება შეუძლებელი იყო. ოჯახი დიდი ხნის წინ გადავიდა აშშ-ში, ნათესავები თითქმის არავინ არ არის აქ. ერ-მხოლოდ მისი მადლიერი და მოსვენებული სტუდენტები იყვნენ ჩემი ცოცხალი მასალა. მისი ყოფილი სტუდენტი, დღეს პროფესორი, ქალბატონი თამილა ცაგარეიშვილი გახდა ჩემი სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი, რომელმაც ბევრი რამ მასწავლა და რომელსაც დიდი მადლიერებით გავისხენებ ყოველთვის. გამაღობთ, ქალბატონო თამილა! უთქვენოდ ჩემი ოცნება დისერტაციის დაცვაზე, აუხდენელი დარჩებოდა და სირცხვილით თავლებში ვისთვის უნდა ჩამეხედა? ეს ყველაფერი ჩვენს ებრაულ მუზეუმში მოხდა (დირექტორი ბატ. გვიც ლამბაშიძე). ქართულ-ებრაული მეგობრობის იუბილესთვის, ჩემი ნაშრომი მონოგრაფიად დაიბეჭდა, რისთვისაც მადლობა იუბილეს მომწყობ კომისიას.

ლ. კ. რომელი თვისება მოგწონს საკუთარ თავში და რომელი გიშლის ხელს?

ზ. დ. საქმის ერთგულება მჩვევია და ეს მომწონს ჩემში, ხოლო გადამეტებული მიმტყველობა ხან მიშლის და ხან — მეხმარება.

ლ. კ. გაბედულებად ჩავთვალე შენი სურვილი გეთარგმნა „იავნანა“ ივრითზე, რომელსაც შესანიშნავად ასრულებს ცნობილი მომღერალ თამრიკო ჭოხონელიძე. მახსოვს შენი სიტყვები: „ჩემი შვილიშვილები იამაყებენ: „იავნანა“ ზაირა ბებომ გადათარგმნა“. ეს ის მომენტი ხომ არ არის, როდესაც ვამბობთ-სურვილის ძალა განუზომელია. როგორ გაჩნდა ეს იდეა?

ზ. დ. — დიდი მადლობა ამ შეკითხვისთვის. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს იდეა გურამ ბათიაშვილს ეკუთვნის და მე ვერ მივითვისებ, რადგანაც ამხელა გაბედულებაც არ მქონდა. ერთ დღეს მირეკავს ბატონი გურამი და მეუბნება: ზაირა, იუბილესთვის (ლაპარაკია 1998 წლის ქართულ-

ებრაულ 26 საუკუნოვან იუბილეზე), „იავნანას“ ებრაულად შესრულება უნდა და თარგმანს ხომ არ შეეჭიდებიო? იდეა მომეწონა, მაგრამ შემეშინდა... შემეშინდა და მაინც შევეჭიდე და ღირდა. მაშინაც იმღერა და ახლაც მღერის ჩვენი საყვრელი მომღერალი, თამრიკო ჭოხონელიძე. როდესაც გამზადებული ტექსტი გადავუგზავნე თამრიკოს, ცოტა ხანში აღფრთოვანებულმა დამირევა და მითხრა: სასწაულია, ისე ჩაჯდა თითოეული სიტყვა, რომ არც ერთი ნოტის ჩასწორება არ დასჭირდაო. შვილიშვილებზე რა მოგახსენო, მე კი მუამაყება ამ სიმღერის თარგმნა.

ლ. კ. ზაირა დავარაშვილის უახლესი ნარსული „ებრაულ სახლთან“ არის დაკავშირებული. რამდენ თანამდებობას უთავსებდი ერთმანეთს?

ზ. დ. თბილისის ებრაულ სათემო სახლში ჩემს ფუნქციას ერქვა ებრაული სახლის კოორდინატორი და ჩემს ჩაუ-

რველად თითქმის არაფერი ხდებოდა. მიყვარდა ჩემი საქმე და სიამოვნებით ვაკეთებდი: ებრაულ სახლში არსებული „ხესედ ელიუდან“ დაწყებული და საზღვარგარეთელი სტუმრების მიღებით დამთავრებული. რაც კლებმა „26 საუკუნემ“ ებრაულ სახლში დაიდო ბინა, შეიძლება ითქვას, იქ „გადავსახლდი“. შედეგად ნამდვილად ჰქონდა ჩემს მუშაობას. მაქსი-მალური დასწრება, უდიდესი ინტერესი, გამოხატული მოწონება და სურვილი კიდევ და კიდევ დასწრებოდნენ კლუბის შეხვედრებს. ამ ყველაფერს მოჰქონდა დიდი პოპულარობა, აპლოდისმენტები და ქება-დიდება. არ დაგიმალავთ, კლუბის ყოველი ღონისძიება, ახალი აღმორჩენა იყო ჩემთვისაც და სტუმრებისთვისაც. ასე გადიოდა წლები და წლებულს არსებობიდან 25 წელი გვისრულდება.

ლ. კ. რომელია ყველაზე სამსოგრო დღე შენს ცხოვრებაში?

ზ. დ. გამორჩეული დღე არაერთი

მაქვს, მაგრამ ერთი განსაკუთრებით გამორჩეულია. ეს ის დღეა, როცა გული საგულეში აღარ ეტევა და გინდა იყვირო გოეთეს სიტყვები „მშვენიერი ხარ, შეჩერდი, წამო!“ ამ დღეს ჰქვია 2017 წლის თბილისობა, როცა წილად მხვდა ბედნიერება და დამასახელეს თბილისის საპატიო მოქალაქედ რამდენიმე სხვა ღირსეულთან ერთად.

ლ. კ. ჩემო ზაირა, ასეთი შინაარსიანი ცხოვრების გავლა ბედნიერების გარდა, საპასუხისმგებლოცაა და „დამავიწყებულ“ აკორდად გამოვიყენებ ქალბატონ თამარ მახარაშვილის სიტყვებს. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ებრაისტი და ჩვენი დიდი მეგობარი). „ებრაულ სახლში რომ მივდივარ, ქალბატონ ზაირა დავარაშვილის ღონისძიებაზე, ასე მგონია, საკუთარ

სახლში ვარ. აღარც მახსოვს, რამდენი ულამაზესი დღე გვაქვს გატარებული ქართველებსა და ებრაელებს ერთად. რამდენი ადამიანის წარმატება გვიზიჟია და მნიშვნელოვანი დღე აღნიშნულა ორი ერისთვის. სიტყვებს ვეძებ, რითი გამოვხატო, ან ავწონო ის საქმე, რასაც ზაირა დავარაშვილი აკეთებს ათეულობით წელია ჩვენი ხალხების დამეგობრების საქმეში.

ქალბატონო ზაირა, თქვენ უკვე ხართ ჩვენთვის ისტორიაში შესული, როგორც უანგარო მოამაგე ქართველთა და ებრაელთა მეგობრობისა. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ჩემი გული ყველა იმ ადამიანის გულთან ერთად, რომელიც ზუსტად ასე ფიქრობს. მიხარია, რომ გიცნობთ და მუამაყებით“.

ესაუბრა ლია პრინცილი

„მრავალფეროვნების სახეები“

ქალთა ნამუშევრების გამოფენა, ფოტოგრაფია-გრაფიკა-ფერწერა

„თიბისი“ გალერეაში გაიმართა გამოფენა „მრავალფეროვნების სახეები“, სადაც ერთ სივრცეში წარმოდგენილი იყო გრაფიკული, ფოტო და ფერწერული ნამუშევრები, რომელთა ავტორებიც სხვადასხვა რელიგიის და ეთნიკური თემის წარმომადგენელი სამიქალი იყო.

მარინე სოლომონიშვილის გრაფიკული ნამუშევრები ებრაელთა ისტორიისა და ტრადიციების ამსახველია, ჰურიეა ბაშიძის ფოტოები მაღალმთიანი აჭარის მუსლიმ ქალთა ყოფას, ხოლო, რუსუდან გოცირიძეს ფერწერა — პანდემიის კრიზისის დროს დახატული ყვავილები..

გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე მარინე სოლომონიშვილი პროფესიით არქიტექტორი და ჟურნალისტი, წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სამხატვრო აკადემია და ასპირანტურა, არის მცირე აკადემიის პროფესორი. წარმატებით მუშაობდა პროფესიით,

— თავდაპირველად მუშაობა დავიწყე ებრაული თემარეის ქართულენოვან გაზეთში „მენორა“ - მაშინ დავინახე საჭიროება და ჩამოვაყალიბე სალონი და კლუბი ებრაელი ქალებისთვის, შემდეგ კი ებრაელ ქალთა საბჭო და საერთაშორისო ფორნდი „ლეა“, რომლის ხელმძღვანელიც ამჟამად ვარ. მორწმუნე ებრაულ ოჯახში ვიზრდებოდი, დედ-მამის ოცნება იყო ისრაელში წასვლა, მაგრამ ვერ შესძლეს. მათი გარდაცვალების შემდგომ, პირველად როგორც ჟურნალისტი „სოხნუთის“ კავკასიის ლიდერთა ჯგუფთან ერთად, ხოლო მალევე „ჯოინტის“ ებრაელი ლიდერების — „ზანჩერის“ პროგრამით, ვიყავი ისრაელში. იქ მოგზაურობისას


შევიგრძენი წინაპართა თვითმყოფადი ებრაული სული, სპონტანურად, ყოველგვარი ესკიზის გარეშე დავიწყე ხატვა, იმის, რასაც ვგრძნობდი, გადმოვცემდი ქალაღზე“.

„ბავშვობიდან მახსოვს, ბებიამ რომ პირველად წამიყვანა თბილისის დიდ სალოცავში შაულოთზე... ძალიან საინტერესო იყო ხანუქის დღესასწაული, ფესახდი... შაბათი, როდესაც სალოცავიდან დაბრუნების შემდეგ მშობლები ან ბაბუები აკურთხებენ შვილებს და შვილიშვილებს, ეს ძალიან ლამაზი, რიტუალია, და სხვა ბევრი, ეს ყველაფერი ბავშვობიდან ჩემში ილექებოდა, და შემდგომ ამოხეთქა გრაფიკული ნახატების სახით“.

უკვე 500-ზე მეტი გრაფიკული ნამუშევარი მაქვს შექმნილი სხვადასხვა თემაზე. ნახატები ძირითადად ეხმიანება ებრაულ ისტორიას, ყოფას, ტრადიციებს, დღესასწაულებს. გამოფენაზე წარმოდგენილია მცირე ნაწილი.

ჩემი ოცნებაა მქონდეს ჩემი სახელოსნო ან ცენტრი, სადაც ნახატების გარდა, წარმოვარჩენ სხვანა მუშევრებსაც, (მაქვს ნამუშევრები მინანქარში, თოჯინები, მცირე ქანდაკებები და სხვა). ოცნებაა ნამუშევრების სახით წარმოვარჩინო საქართველოს ებრაული თემის ცნობილი და უცნობი ისტორიები, ქალთა სახეები.

გამოფენა „მრავალფეროვნების სახეები“ გახსნეს და მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ, ეკა ჭითანავა — ტოლერანტობის ინსტიტუტის (TDI) დირექტორი, ნიკბერეს ფორდი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში და ნამუშევრების ავტორი ქალები.



რობერტ ადარი: სანამდე ცოცხალი ვიქნები, საქართველოს სიყვარული ჩემს გულში იქნება

მე ვიცნობ ბატონ რობერტს და ვიცი, რომ საქართველოსადმი მისი დამოკიდებულება არის უიშვიათესი. სხვათა შორის, საქართველოდან წასული ებრაელების უმრავლესობას ასეთი ემოციური დამოკიდებულება აქვს ჩვენი ქვეყნისადმი. ბატონ რობერტს სულ ახლახან 80 წელი შეუსრულდა და გვინდა გულითადად მივულოცოთ — ჩვენი მხრიდან ეს იქნება სიყვარული სიყვარულის ნილ. დღეგრძელობა და გახარება ვუსურვოთ ჩვენს შორეულ და ახლობელ თანამემამულეს.

გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთან, დავით აღმაშენებლის სახელობის ჯილდოს მფლობელთან, სსდ „გულთა კავშირის“ პრეზიდენტთან, ბატონ რობერტ ადართან (აჯიაშვილი).



„გულთა კავშირის“ თითოეულ წევრს გათვითცნობიერებული ჰქონდა საკუთარი შესაძლებლობები და მოვალეობები ჩვენი თემისა და ერის წინაშე, რა გზით შეიძლებოდა მიგვეღწია ფინანსური სიდუხჭირის პირობებში საერთო მიზანდასახულობისთვის, რომ ჩვენს მშობლიურ საქართველოსთან შეგვენარჩუნებინა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა და თანაცხოვრების უნიკალური კულტურა. საერთოდაც, ესაა ძირითადი არის, რისთვისაც შეიქმნა „გულთა კავშირი“.

მომავალი წლის 16 თებერვალს მე პრეზიდენტობის ვადა მენურება. მოენცილება ახალი საპრეზიდენტო არჩევნები და აირჩევენ ახალ პრეზიდენტს. მიმართა, რომ „გულთა კავშირს“ უნდა უხელმძღვანელოს დიდი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანმა, რათა ის საქმეები გააგრძელოს, რაც დაიწყო 6 წლის წინათ „გულთა კავშირმა“, როცა მისი პრეზიდენტი იყო ბატონი პაატა იოსებაშვილი.

— თქვენ აღარ გინდათ პრეზიდენტობა? იქნებ კვლავ თქვენ ავირჩიონ...

— მართალი გითხრათ, ეს დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობაა. აღარ მინდა, ფიზიკურადაც რომ შევძლო, ფსიქოლოგიურად ვეღარ მოვერევი, ძალიან გადავიტვირთი. არ არის ადვილი ასეთი საქმის ხელმძღვანელობა, თუმცა, ვფიქრობ, რომ მაინც ბევრი რამ გავაკეთე, მაგრამ ვერაფერს გავხდებოდი, ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანები გვერდით რომ არ დამდგომოდნენ.

ახლახან მე მომანიჭეს პრემია — დავით აღმაშენებლის ოქროს მედალი. ეს ჯილდო მხოლოდ მე კი არა, მთელ ჩემს გუნდს ეკუთვნის, ისინი რომ არა, მე რაც არ უნდა გამეკეთებინა, არაფერი არ გა-

მოჩნდებოდა, ჩემ გვერდით რომ არ ყოფილიყო ნუგზარ ჯანაშვილი, შალვა წინუაშვილი, სხვა მეგობრები, ყველას ვერ ჩამოვთვლი, ვმომოზ, ვინმე არ გამომჩრჩეს. „გულთა კავშირი“ ეს არის ერთი გუნდი და კიდევ ვიმეორებ, მე მიხარია, რომ ამ ადამიანებთან მიხდებოდა და მიხდება მუშაობა.

— ახლახან 80 წელი შეგისრულდათ. „საქართველოს რესპუბლიკა“ გულწრფელად გილოცავთ. 120 წელი იყავით ასე მხნედ და ენერგიულად. თქვენნაირი გულშემატყვიარი და მოყვარული ბევრი ჰყოლოდეს დაქართველოს.

— ჩემს საქართველოს, ქართველ საზოგადოებას მინდა ვუთხრა: არავის შეგეშინდეთ 80 წლისა, ეს არის ის ხანა, როცა ყველაფერი თავიდან იწყება. მეგობრულ წრეში ვთქვი ამას წინათ: მომავალ წელს ერთი წლის გავხდები, ახალი ათვლა იწყება ჩემს ცხოვრებაში-მეთქი. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, სინამდვილეში კი, მინდა გითხრათ, რომ ყოველი წელი ადამიანის ცხოვრებაში არის ახალი ეტაპი, ახალი გამოცდილება, ახალი ამბავი და ყოველივე ეს იმდენად საინტერესოა, რომ ამისთვის ღირს სიცოცხლე. ცხოვრება მართლაც მშვენიერია და საერთოდ, ყველაფერი მშვენიერია, რასაც გვაძლევს ღმერთი, მთავარია, ეს მშვენიერება დავინახოთ და არასდროს დაცკარდეთ სიყვარული, რომელიც არის ძალა და სინათლე ჩვენი ცხოვრების გზაზე.

ესაუბრა ირანდა კალანდაძე
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

— ბატონო რობერტ, როგორი განცდაა ორი ერის შვილობა?

— ეს დიდად საპასუხისმგებლო ტვირთი და საამაყო განცდაა. უდიდესი პასუხისმგებლობაა, იყო იმ ერის სარწმუნოების მატარებელი, რომელმაც იხილა ღმერთი, მაგრამ სადაც უნდა ვიყო, რომელი ერის შვილებსაც არ უნდა შევხვდე, ყოველთვის ვამბობ, რომ მე ვარ ქართველი, მაგრამ სარწმუნოებით ვარ ებრაელი, ქართული მიწის და ცის სურნელით გამოზრდილი ადამიანი, რომელმაც პირველად გავახილე თვალი ქართველთა კურთხეულ ქვეყანაში, პირველად შევიყნოსე ჰაერი, დავინახე მზე, წარმოთქვი პირველი სიტყვა, დავინახე ჩემი ძვირფასი, უტკბილესი დედა, რომლის საფლავიც ახლა ჩახუტებული აქვს საქართველოს მიწას, ეს არის ადგილი, სადაც პირველი ასო-ბგერა დაგწერე, პირველად დავლიე სიყვარულის სადღეგრძელო ჩემს უსაყვარლეს ქართველ და ებრაელ მეგობრებთან ერთად. ყოველივე პირველი, რაც საქართველოში განვიცაადე, ტკბილად მაგონდება და სანამდე ცოცხალი ვიქნები, საქართველოს სიყვარული ჩემს გულში იქნება დავანებული.

ასეთი სახელოვანი მამულიშვილი და მას სათუთად უნდა გაუფრთხილდეთ, ის გახლავთ საამაყო მეცნიერი, რომელიც უდიდეს კვალს ტოვებს ჩვენი ერის ისტორიაში.

ჩვენთან არის ქართულ და ებრაულენოვანი შესანიშნავი მწერალი ნუგზარ ჯანაშვილი, ჩვენი გუნდის წევრია პროფესორი ლადო ჭელიძე, რომელიც ბრწყინვალედ ფლობს „თორას“ და საუკეთესოდ აკეთებს მის განმარტებებს.

ძალიან გვახარებს, რომ ჩვენს გაერთიანებას ახლახან შემოუერთდა პროფესორი, დოქტორი გერშონ ორენი, მან თავად გამოთქვა სურვილი, ყოფილიყო „გულთა კავშირის“ წევრი.

არანაკლებ პატივსაცემი ადამიანები არიან „გულთა კავშირის“ წევრები: ცნობილი პროფესორი ირინე ბიბლიეშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, შესანიშნავი შემოქმედი, ჩვენი მეგობარი შოთა წვენიაშვილი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი ალექსანდრე პელეგი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ნიკოლორთიფანიძის პრემიის ლაურეატი, ქალბატონი იზოლდა კრიხელი, რომელმაც „გულთა კავშირის“ შესანიშნავი გაზეთი ჩამოაყალიბა, ჩვენი გაერთიანების საამაყო წევრია ჩვენი ძმა და მეგობარი, მომღერალი იუზა მოშიაშვილი, ჩვენი გუნდის წევრია შვიდი ენის მცოდნე ადამიანი, კაცი, რომელმაც ზეპირად იცის, იერუსალიმში სად, რომელი ქვა დევს და თითოეული ეს ქვა რას ღაღადებს, ეს კაცი გახლავთ მერაბ მიქაელი. ეს ადამიანები პირადად მე მაძლევენ ძალას, ჩემი შრომის, დროისა და ხანდახან მატერიული დანახარჯების ფასად განვახორციელო ის საქმე, რომელიც 6 წლის წინ დავიწყეთ.

— ფინანსურ პრობლემებზე მინიშნებთ?

— ორგანიზაციის არსებობის ყველა ეტაპზე იყო ფინანსური პრობლემები და ახლაც მტკივნეული თემაა რჩება „გულთა კავშირისთვის“ ეს საკითხი, თუმცა მაშინ, როცა პანდემიამ ლამის მთელი დედამიწა გააჩერა, ვერ შეაფერხა „გულთა კავშირი“. სწორედ პანდემიის პირობებში განვახორციელეთ რამდენიმე სახის შესანიშნავი პროექტი თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „გულთა კავშირი“ არ არის ძლიერი ფინანსური შესაძლებლობების ორგანიზაცია, მაგრამ იმას მაინც ვაკეთებთ, რაც პირადად ჩვენ შეგვიძლია, ანუ მომავალ თაობებს გადავცეთ, რაც ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა დაგვიტოვეს — სამშობლოს, იმ ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, სადაც გაჩნდა და დაიბადა ღმერთის ნებით ჩვენი სიცოცხლე, სადაც დაიწყო ჩვენი აკვანი, სადაც ვისწავლეთ დედა ენა, სადაც აზრი მივანიჭეთ ჩვენს სიცოცხლეს, ეს ხომ ჩვენი მშობლიური საქართველოა. ქართველი და ებრაელი კაცის გულები, გარდა საქმიანი ურთიერთობებისა, ყოველთვის შეერთებული იყო წმინდა და მაღალი ადამიანური სიყვარულით.

ვინმემ ისე არ წარმოიდგინოს, თითქოს მე. ე.წ. „ქართულ სათბურში“ მეცხოვროს, არა, იყო წინააღმდეგობები, უდიდესი წინააღმდეგობებიც, სიკვდილსიცოცხლის მიჯნაზეც ვყოფილვარ, მაგრამ ყველაფერი იყო თითქოს ცუდი სიზმარი და მეხსიერებამ შემოინახა მხოლოდ ტკბილი წუთები საქართველოსთან დაკავშირებით.

— როგორც ვიცი, საქართველოდან წასული „ქართველები“ ერთმანეთთან განსაკუთრებულად მეგობრობთ, ხშირად ხართ ერთად, ორგანიზაციაც კი შექმნილი „გულთა კავშირის სახელოვანებით“.

— დიახ, თქვენმა მკითხველმა ალბათ იცის, რომ ჩვენ ისრაელში ჩამოვყალიბეთ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „გულთა კავშირი“ და შეძლებისდაგვარად ვეხმარებით საქართველოდან ისრაელში ამოსულ, ასევე საქართველოში მაცხოვრებელ ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებს, ეროვნების განურჩევლად. ამ საპასუხისმგებლო საქმეში ჩვენს გვერდითაა თავისი საქმის პროფესიონალი, შესანიშნავი პიროვნება, პროფესორი შალვა წინუაშვილი, მისი წარსული, მეცნიერული გზა და მასთან ურთიერთობა ერთგვარი სიამაყის გრძნობას გვანიჭებს, ბატონი შალვა მრავალი ჯილდოსა და რეგალიის მფლობელია, მაგრამ ყველაზე დიდი საჩუქარი მისთვის ის გარემოცვაა, რომლებიც სავსე ვართ მისადმი პატივისცემით. ეს ამეკობს და ალამაზებს მის ასაკს და სტიმულს აძლევს, რომ ახალგაზრდული შემართებით იდგეს ჩვენს გვერდით, იგი ღირსეული დამფუძნებელი და ჩვენი გაერთიანების ძალზე აქტიური წევრია.

სამი საუკეთესო წიგნი — „საქართველოს ებრაელთა პოეზიის ანთოლოგია“, „საქართველოს ებრაელთა პროზა“, „ქართველ ებრაელთა სიბრძნის წყარო“, რომლებმაც ტრიუმფით მოიარა საქართველოს ქალაქები, „გულთა კავშირის“ სიამაყეა. ჩვენ დღეს გვერდით გვყავს

ბროწეული ებრაულ ტრადიციაში



ბროწეულს, სიმბოლოს სიუზვის და ნაყოფიერებისას, გრძელი ისტორია აქვს. მას ვაწყდებით თორისა და თალმუდის ფურცლებზე, ძველ იუდეურ, ბარქობხას დროინდელ მონეტებზე, რომ ჰაშანის სუფრაზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ის გაიგივებულია მიცვებთან. ბროწეულის მარცვლები ასოცირდება 613 მიცვასთან. გადმოცემის თანახმად ითვლება, რომ თითოეულ ბროწეულში 613 მარცვალია მსგავსად 613 კანონისა. თუმცა რა თქმა უნდა ეს სიმბოლოა და არ აქვს კავშირი რეალობასთან. ეს გადმოცემა მოდის გემარადან (ბრახოთ 4), და თალმუდიდან. თალმუდში რაბი რემ ლაკიმი ამბობს, რომ ებრაელი სავსეა მიცვებით ისე, როგორც ბროწეული მაცვლებით (სანჭედრინი 37ა).

ბროწეული ერთ ერთი იმ „შვიდ სახეობათაგანია“ რომლითაც უხასიათებს ღმერთი ალთქმულ მინას. რატომღაც ჩვენ მხოლოდ რძისა და თაფლის ქვეყანა გვახსენდება ხოლმე, თუმცა აი რას ვკითხულობთ თორაში, ფარაშათ ეიკევ (მეორე რჯული 8:8)

„უფალს, შენს ღმერთს, მიჰყავხარ მადლიან ქვეყანაში, ნაკადულთა და წყაროთა ქვეყანაში, სადაც ნიაღვრები მოედინებიან მთად და ბარად, ხორბლისა და ქერის, ყურძნისა და ლეღვის, და ბროწეულის ქვეყანაში, ზეთის ხილისა და თაფლის ქვეყანაში“

ფარაშათ შელახ - (რიცხვთა 13:23), სადაც საუბარია ქანანის ქვეყნის დაზვერვაზე ვკითხულობთ: „მივიდნენ ეშქოლის ხევამდე, მოჭრეს იქ ვაზი თავისი მტევენიურთ და კეტით წამოიღო ორმა; აგრეთვე ბროწეული და ლეღვის ნაყოფები.“

აქედან გამომდინარე, დღესაც ისრაელში არის ადგილები, რომელიც ბროწეულის სახელს ატარებს მაგალითად: ეინ რიმონ, გათ რიმონ, ბეთ რიმონ და ა.შ.

გადმოცემის თანახმად ცნობილია

ისიც, რომ თურმე ებრაელები, გადასახლების დროს სადაც მიდიოდნენ, ისრაელის მიწიდან ბროწეულის მარცვლები მიჰქონდათ და თავის გადასახლების ადგილას რგავდნენ.

თუკი თორაში ბროწეულს ღმერთი საპატიო „შვიდ სახეობათა“ ნუსხაში მოიხსენიებს, რომელიც ალთქმულ მინაზე, მოგვიანებით კი ისრაელის მიწაზე ხარობს. თანახმი ამ ხილის სიმბოლოურ დატირთვაზე ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად ქებათ ქებაში, რომლის ავტორადაც ბრძენი სოლომონი მოიხსენიება, ის ქალის სიმშვენიერეს აიგივებს ბროწეულის მარცვლებთან (ქებათ ქება სოლომონისა 6:7) და ამბობს: „შენი ღანწები ბროწეულის ლებნებია შენს პირბადის ქვეშ.“

ამჟენაზი ებრაელების თორის გრადანის შესანახს თავზე ბროწეულები აქვს გამოსახული და მას რიმონიმ ეწოდება. ეს სიმბოლოურად აღებულია თორიდან, ფარაშათ „თეცავე“-დან (გამოსვლა 28-31:34) სადაც ქოშენ ჰაგადოლის შესამოსელზე დატანებული იყო ბროწეულები. აი რას ვკითხულობთ: „გააკეთე ეფოდის მოსასხამი მთლიანად ლურჯი ქსოვილისგან. შუაში თავის გასაყრელი უნდა ჰქონდეს, ამოჭრილის პირს ირგვლივ არშია უნდა გასდევდეს ნაქსოვისგან, როგორც ჯაჭვის პერანგის სათაურს, რომ არ შემოირღვეს. ამოქარგე მის კალთებზე ირგვლივ ბროწეულები ლურჯი, ძონეული და ჭიაფერი ძაფით და ოქროს ეფენები ჩამოჰკიდე ირგვლივ მათ შორის. ოქროს ეფენი და ბროწეული,

ოქროს ეფენი და ბროწეული მოსასხამის კალთაზე ირგვლივ.“

ბროწეული არის ნაწილი სეფარდების საახალწლო სუფრისა, ანუ რომ ჰაშანის სედერის. სანამ მიირთმევენ ბროწეულის ნაყოფს ამბობენ: დაე ავივსოთ მიცვებით ისე, როგორც სავსეა ბროწეული მარცვლებით.

ბროწეული ხშირად რომ ჰაშანის მეორე დღეს „ახალმონეულ ხილად“ იდება სუფრაზე, რათა წარმოითქვას ლოცვა-კურთხევა „ახლად მონეული ხილისა“.

ისრაელის აგრარული პორტალი გვეუბნება, რომ წელიწადში ისრაელში დაახლოებით 60 000 ტონა ხილი მოდის, რომლის უმეტესობა ექსპორტზე გადის.

მარი მახარაძე
ალმოსავლეთმცოდნე ებრაისტი



დაამუშავებელი და
გამომცემელი:
გურამ ბათიაშვილი,
თბილისი, ლეონიდის 11^ბ, ვახტანგ VI ქ. №30



რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070
411.16
8-557
9771987898003